

**ეთივის კომისიის  
გადაწყვეტილება  
დისციპლინური დევნის აღმვრაზე უარის თქმის თაობაზე**

**მეოთხე დისციპლინური კოლეგიის შემადგენლობა:**

ციცინო ცხვედიანი – კოლეგიის თავმჯდომარე

გოჩა სვანიძე – კოლეგიის წევრი

თორნიკე ბაქრაძე – კოლეგიის წევრი

**საჩივრის ავტორი – მ. ჯ**

**საჩივრის კომისიაში შემოსვლის თარიღი: 22.05.2017**

**საჩივრის რეგისტრაციის ნომერი: 040/17**

**ადვოკატი, რომლის მიმართაც არის საჩივარი შემოტანილი – ზ. ნ /სიითი №/**

**საჩივრის მოთხოვნა: ადვოკატ ზ. ნ-სთვის „ადვოკატთა დისციპლინური პასუხისმგებლობისა და დისციპლინური წარმოების შესახებ“ დებულებით გათვალისწინებული პასუხისმგებლობის დაკისრება**

**I აღწერილობითი ნაწილი**

**1. საჩივრის ავტორის პოზიცია:**

1.1 2017 წლის 22 მაისს საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის ეთივის კომისიას საჩივრით მომართა მ. ჯ-მ და მოითხოვა ადვოკატ ზ. ნ-თვის დისციპლინური პასუხისმგებლობისა დაკისრება.

1.2 საჩივრის ავტორის განცხადებით, თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიაში მიმდინარეობს მისი სარჩელის განხილვა დაბა წყნეთში, მაია წყნეთელის ქუჩა N-ში და ქ. თბილისში მუხაძის ქ. N-ში, საცხოვრებელი სახლების სამემკვიდრეო წილის გაყოფის შესახებ. საჩივრის ავტორს დავა აქვს საკუთარ დასთან ა. ჯ-თან, რომლის ინტერესებსაც აღნიშნულ დავაში იცავს ადვოკატი ზ. ნ. სადაო ქონება წარმოადგენს საჩივრის ავტორის მშობლების გარდაცვალების შემდეგ დარჩენილ სამკვიდრო ქონებას, რომელიც კანონით უნდა გაიყოს და-ძმას შორის.

1.3 საჩივრის ავტორის განმარტებით ზემოაღნიშნულ სასამართლო დავასთან დაკავშირებით, სადაო ქონება მიმზიდველი გამოდგა ა. ჯ-თან დაახლოებული პირთათვის, კერძოდ შორეული ნათესავების დედა-შვილი მ. ბ და გ. ბ-თვის. მათ საჩივრის ავტორის დის დასახმარებლად მოიწვიეს მათთან დაახლოებული ადვოკატი ზ. ნ, რომელიც ყველანაირად ცდილობს ფსიქოლოგიური ზეგავლენა მოახდინოს კლიენტზე. აღნიშნული პირები ყველანაირად ცდილობენ ა. ჯ დაუპირისპირონ საჩივრის ავტორს, რათა მშობლების დანატოვარი ქონება არ გაიყოს მათ შორის. მ. გ და გ. ბ სადაო ქონების ხელში ჩასაგდებად ცდილობენ ადვოკატ ზ. ნ-ს

გამოყენებას, რომელიც თავის მხრივ ცდილობს საკუთარი ინტერესებიდან გამომდინარე, ამ ქონების ხელში ჩასაგდებად გამოიყენოს ადვოკატის სტატუსი. ადვოკატმა ფიქტიურად იქირავა წყნეთის აგარაკი კლიენტისგან და მუდმივად არწმუნებს მას, რომ არ დათმოს სადაო ქონება მ. ჯ-თან.

- 1.4 საჩივრის ავტორის განმარტებით, მოსამართლემ მხარეებს შესთავაზა საქმეზე მედიაციის წესით მორიგება, რაზეც საჩივრის ავტორიც და მისი დაც დათანხმდა. შემდეგ მედიაცია ვერ შედგა, რადგან ადვოკატმა დაარწმუნა ა. ჯ, რომ უარი ეთქვა მორიგებაზე.
- 1.5 საჩივრის ავტორის განცხადებით, ადვოკატი ეთიკური და მორალური ნორმების დარღვევით, რამდენიმე თვის განმავლობაში ფარულ მოლაპარაკებებს ახორციელებდა მასთან, როგორც მოწინააღმდეგე მხარესთან, თუმცა შეთანხმება ვერ იქნა მიღწეული. ადვოკატი საჩივრის ავტორს ჰქონდებოდა, რომ იგი ყველა ზომას მიიღებდა ა. ჯ-ის სასამართლო საქმის წასაგებად და საჩივრის ავტორის სარჩელის დასაკმაყოფილებლად. საჩივრის ავტორის განმარტებით, ადვოკატი მას უმტკიცებდა, რომ კლიენტისგან არავითარი ჰქონდა მიღებული. საბოლოოდ ადვოკატმა განაცხადა, რომ სიტუაცია შეიცვალა და აღარ იყო თანახმა საჩივრის ავტორთან გარიგებაზე.

- 1.6 საჩივრის ავტორს მიაჩნია, რომ ადვოკატმა დაარღვია პროფესიული ეთიკის პრინციპები, კერძოდ დამოუკიდებლობის, ნდობის და კონფიდენციალობის პრინციპები.

## 2. ადვოკატის პოზიცია:

- 2.1 2017 წლის 27 ივნისს ადვოკატი ზ. ნ გამოცხადდა ეთიკის კომისიაში საპროცესო კოლეგიის სხდომაზე და გააკეთა ახსნა-განმარტება, რომლის თანახმად, მან 2013 წლიდან მისი მეგობრის გოგი ბერიძის რეკომენდაციით დაიწყო ა. ჯ-ის ინტერესების დაცვა. ა. ჯ-ის და მისი დედის ტ. ჯ-ის წინააღმდეგ სარჩელი ჰქონდა შეტანილი მ. ჯ-ს და ითხოვდა ჩუქების ხელშეკრულების გაუქმებას და უძრავ ქონებაზე თანამესაკუთრედ ცნობას. ადვოკატი წერილობითი ხელშეკრულებით შეუთანხმდა კლიენტებს, რომ დაიცავდა მათ ინტერესებს სამოქალაქო დავასთან დაკავშირებით სამივე სასამართლო ინსტანციაში. მხარეებს ადვოკატის მომსახურების საზღაური ხელშეკრულებით არ განუსაზღვრავთ.
- 2.2 ადვოკატის თქმით, მას დაუკავშირდა მ. ჯ-ის ინტერესების დამცველი ადვოკატი ვ. თ.და შესთავაზა შეხვედრა. შეხვედრაზე ვ. თ.-სთან ერთად იმყოფებოდა მ. ჯ, რომელმაც ზ. ნ-ს უთხრა, რომ ა. ჯ არის გონებასუსტი, ამიტომ შესაძლოა მისმა ებრაელმა მეზობელმა იაფად ჩაიგდოს ხელში მისი უძრავი ქონება ან ეკლესიამ ზეგავლენით აჩუქებინოს ეს ქონება. აღნიშნულის მოსმენის შემდეგ ადვოკატმა ზ. ნ-მ დატოვა შეხვედრა.
- 2.3 ადვოკატის განმარტებით, საქმე პირველ ინსტანციაში მისი კლიენტის სასარგებლოდ დამთავრდა. მოწინააღმდეგე მხარემ სასამართლოს გადაწყვეტილება გაასაჩივრა თბილისის სააპელაციო სასამართლოში. თბილისის სააპელაციო სასამართლომ გააუქმა პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილება და მ. ჯ-ს მიაკუთვნა სადაო ქონების ერთი მეექვსედი წილი, თუმცა საკასაციო სასამართლომ დააკმაყოფილა ა. ჯ-ის საკასაციო საჩივარი და გააუქმა თბილისის სააპელაციო სასამართლოს აღნიშნული გადაწყვეტილება. ამის შემდეგ მ. ჯ-მ კვლავ მიმართა სასამართლოს ახალი სარჩელით და მოითხოვა ა. ჯ-ის საკუთრებაში არსებულ უძრავ ქონებაზე სავალდებულო წილის მიღება. მოსამზადებელ სხდომაზე მოსამართლე მხარეებს შესთავაზა, საქმე გადაცემულიყო მედიაციისთვის რასაც ადვოკატი დათანხმდა.

მედიაციის მსვლელობისას, როდესაც მედიატორი ა. ჯ-ს ცალკე ესაუბრებოდა, მ. ჯ დაემუქრა ადვოკატს.

- 2.4 ადვოკატის განცხადებით, მ. ჯ დაუკავშირდა მას ტელეფონით და შესთავაზა შეხვედრა. ადვოკატმა წინასწარ გააფრთხილა შეხვედრის თაობაზე თავისი კლიენტი და თავის მეგობართან შ. უ.-სთან ერთად შეხვდა მ. ჯ-ს. შეხვედრაზე მ. ჯ-მ მორიგება შესთავაზა ადვოკატს, რაზეც ადვოკატი დათანხმდა. რამდენიმე დღეში ადვოკატმა მორიგების პირობების ტექსტი მიუტანა მოწინააღმდეგ მხარეს. მ. ჯ და მისი ინტერესების დამცველი ადვოკატი ვ. თ. არ დაეთანხმნენ მორიგების პირობებს, რის შემდეგაც ადვოკატი ზ. ნ-ს განუცხადეს, რომ მას სასამართლო დავა წაგებით უნდა დაესრულებინა და ამისთვის მისაღები თანხა დაესახელებინა. ადვოკატმა ზ. ნ-მ უარი განაცხადა შესთავაზებაზე და თანხის დასახელებაზე. ამის შემდეგ ადვოკატი ზ. ნ და მ. ჯ ერთმანეთს აღარ შეხვედრიან.
- 2.5 ადვოკატი განმარტავს, რომ პირველ საქმეზე კლიენტისგან მიიღო 4500 (ოთხი ათასხუთასი) ლარი, ხოლო მეორე საქმეზე უსასყიდლოდ მოემსახურა. კლიენტის საკუთრებაში არსებული წყნეთის აგარაკი ადვოკატმა იქირავა 2017 წლის პირველ სექტემბრამდე და ქირავნობის საფასურს 200 (ორას) აშშ დოლარს ყოველ თვე უხდის კლიენტს.

## II სამოტივაციო ნაწილი

### 3. ფორმალური წინაპირობების შემოწმება:

- 3.1 ადვოკატი ზ. ნ არის საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის წევრი /სიითი №/ სპეციალიზაცია - საერთო. ადვოკატის ადვოკატთა ასოციაციის წევრობა არ არის შეჩერებული, ასევე, არ არის გარიცხული საქართველოს ადვოკატთა ასოციაციიდან.
- 3.2 მ. ჯ-მ ეთიკის კომისიას საჩივრით მომართა 2017 წლის 22 მაისს.
- 3.3 სადავო ქმედება განხორციელდა 2013 -2017 წლებში. „ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონის 32-ე მუხლის მე-2 პუნქტის საფუძველზე არ არის გასული დისციპლინური დევნის აღმვრისათვის დადგენილი ხანდაზმულობის ვადა – 5 წელი.

### 4. შემაჯამებელი დასკვნა

ეთიკის კომისიას მიაჩნია, რომ ადვოკატ ზ. ნ-ს მიმართ არ უნდა აღიძრას დისციპლინური დევნა, რადგან მოცემულ შემთხვევაში, არ არსებობს „ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონის 32-ე მუხლითა და „ადვოკატთა დისციპლინური პასუხისმგებლობისა და დისციპლინური წარმოების შესახებ“ დებულების 30-ე მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული დისციპლინური დევნის აღმვრის საფუძველი.

### 5 სამართლებრივი შეფასება

- 5.1 საჩივრის ავტორის პრეტენზია გამოიხატა შემდეგში: ადვოკატი ფსიქოლოგიურ ზეგავლენას ახდენს კლიენტზე და ყველანაირად ცდილობს, რომ კლიენტი დაუპირისპიროს საჩივრის ავტორს, რათა მშობლების დანატოვარი უძრავი ქონება არ გაიყოს და-მმას შორის; ასევე, მას შემდეგ, რაც საჩივრის ავტორმა და თავისმა დამ თანხმობა განაცხადეს მედიაციით მორიგებაზე, ადვოკატმა დაარწმუნა კლიენტი, რომ უარი ეთქვა მედიაციით მორიგებაზე; ადვოკატი ეთიკური და მორალური ნორმების დარღვევით, რამდენიმე თვის მანძილზე აწარმოებდა მოლაპარაკებებს მ. ჯ-სთან.

- 5.2 საპროცესო კოლეგიამ იმსჯელა ადვოკატის მიერ შემდეგი ნორმების შესაძლო დარღვევაზე:

- 5.2.1 „ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონის მე-5 მუხლის „ა“ ქვეპუნქტი: „ადვოკატი ვალდებულია კეთილსინდისიერად შეასრულოს პროფესიული ფუნქციები“
- 5.2.2 ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსის მე-2 მუხლის 1-ლი ნაწილი: „ადვოკატი თავისი პროფესიული საქმიანობის განხორციელებისას დამოუკიდებელია ყოველგვარი გავლენისგან ან სხვა ზეწოლისაგან, მათ შორის მისი პირადი ინტერესებიდან და ემორჩილება მხოლოდ საქართველოს კანონმდებლობას, საერთაშორისო სამართლის და პროფესიული ეთიკის ნორმებს“.
- 5.3 „ადვოკატთა დისციპლინური პასუხისმგებლობისა და დისციპლინური წარმოების შესახებ“ დებულების მე-6 მუხლის „ა“ ქვეპუნქტის მიხედვით, დისციპლინური წარმოების დაწყების საფუძველია პირის საჩივარი, რომელსაც მიაჩნია, რომ ადვოკატის ქმედებით დაირღვა მისი უფლებები და ინტერესები. ამავე დებულების მე-9 მუხლის „გ“ ქვეპუნქტის თანახმად, ეთიკის კომისიის მიერ საჩივარზე წარმოება წყდება და საჩივარი არსებითად არ განიხილება, თუ საჩივარი წარდგენილია იმ პირის მიერ, ვისაც არ აქვს საჩივრის წარდგენის უფლება ამ დებულების მე-6 მუხლის შესაბამისად.
- 5.4 ეთიკის კომისიის შეფასებით, საჩივრის ავტორის პრეტენზია, რომ ადვოკატი ფსიქოლოგიურ ზეგავლენას ახდენს კლიენტზე და ყველანაირად ცდილობს, რომ კლიენტი დაუპირისპიროს საჩივრის ავტორს, რათა მშობლების დანატოვარი უძრავი ქონება არ გაიყოს და-ძმას შორის, ვერ იქნება მ. ჯ-ის მიერ წარდგენით დისციპლინური წარმოების დაწყების საფუძველი. აღნიშნულ გარემოებაზე პრეტენზია ადვოკატისადმი შეიძლება ჰქონდეს ადვოკატის კლიენტს, ვინაიდან პრეტენზიაში ასახული გარემოებები ეხება უშუალოდ ა. ჯ-ის უფლებებს და ინტერესებს. მ. ჯ-ის მიერ ზემოაღნიშნულ გარემოებებს ეთიკის კომისია გამოიკვლევდა იმ შემთხვევაში თუ ა. ჯ მომართავდა კომისიას საჩივრით. მ. ჯ არ არის უფლებაუნარიანი ადვოკატს პრეტენზია წაუყენოს ზემოაღნიშნული მოტივით.
- 5.5 საჩივრის ავტორის მეორე პრეტენზიასთან მიმართებით, რომლის მიხედვითაც მას შემდეგ, რაც საჩივრის ავტორმა და თავისმა დამ თანხმობა განაცხადეს მედიაციით მორიგებაზე, ადვოკატმა დაარწმუნა კლიენტი, რომ უარი ეთქვა მედიაციით მორიგებაზე, საპროცესო კოლეგია განმარტავს შემდეგს: ადვოკატი საადვოკატო მომსახურების ხელშეკრულებისა და მინიჭებული რწმუნების საფუძველზე ვალდებულია იმქმედოს კლიენტის ინტერესების დასაცავად და უზრუნველყოს საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული მოქმედებების კეთილსინდისიერად შესრულება. ადვოკატი პროფესიული საქმიანობის განხორციელებისას უნდა მოქმედებდეს კანონიერების პრინციპის დაცვით და ყველა შესაძლო კანონიერი საშუალება უნდა გამოიყენოს კლიენტის საუკეთესო ინტერესების დასაცავად, რაც არ არის აკრძალული კანონით და პროფესიული ეთიკის ნორმებით. ადვოკატი ორიენტირებული უნდა იყოს კლიენტზე. საპროცესო კოლეგია ხაზს უსვამს იმ გარემოებას, რომ ადვოკატის პროფესიის არსი და ბუნება წარმოადგენს კლიენტის ინტერესების დაცვას და ადვოკატი ყოველთვის ატარებს პროცესუალური მოწინააღმდეგე მხარის საპირისპირო ინტერესს. შესაძლებელია მეორე მხარეს არ მოსწონდეს ის მეთოდი, რომლითაც ადვოკატი თავის კლიენტს იცავს, მაგრამ დაცვის სტრატეგიას კლიენტის ირჩევს ადვოკატთან კონსულტაციის შედეგად.
- 5.6 საჩივარი შემოტანილია ადვოკატ ზ. ნ-ს კლიენტის, ა. ჯ-ის, პროცესუალური მოწინააღმდეგის მ. ჯ-ის მიერ, რომელიც უკმაყოფილებას გამოხატავს ადვოკატის მიერ კლიენტისათვის გაწეული კონსულტაციების მიმართ, რამაც ხელი შეუშალა მხარეთა შორის დავის მედიაციის გზით გადაწყვეტას. ადვოკატმა 2017 წლის 27 ივნისს ზეპირად განმარტა, რომ იგი თანახმა იყო

- მედიაციაზე, მორიგების პირობებზე შესათანხმებლად შეხვდა მ. ჯ.-ს, თუმცა საჩივრის ავტორმა უარი განაცხადა ადვოკატის მიერ შეთავაზებულ მორიგების პირობებზე. ამ ნაწილშიც კომისიას მიაჩნია, რომ ადვოკატი ზ. ნ. მოქმედებდა კლიენტთან ა. ჯ.-სთან შეთანხმებით, მასთან შეთანხმებული სტრატეგიით და მოწინააღმდეგე მხარის პრეტენზიის საფუძველზე კომისია ვერ გამოიკვლევს ადვოკატ ზ. ნ.-ს და ა. ჯ.-ს შორის შეთანხმებულ საქმის წარმოების სტრატეგიას და ვერ ჩაერევა ადვოკატ-კლიენტის ურთიერთობაში.
- 5.7 საჩივრის ავტორის შემდეგ პრეტენზიასთან დაკავშირებით, რომლის მიხედვით ადვოკატი ეთიკური და მორალური ნორმების დარღვევით, რამდენიმე თვის მანძილზე მასთან, როგორც მოწინააღმდეგე მხარესთან აწარმოებდა მოლაპარაკებებს, საპროცესო კოლეგია განმარტავს, რომ ადვოკატი არათუ უფლებამოსილი, არამედ ვალდებულიც იყო კლიენტთან შეთანხმების შემთხვევაში დათანხმებულიყო მოწინააღმდეგე მხარეს შეხვედრის შეთავაზებაზე და გამოეყენებინა კლიენტის დასაცავად ყველა საშუალება, რაც კანონით არ არის აკრძალული. კოლეგია ამახვილებს ყურადღებას იმ ფაქტზე, რომ შეხვედრის ინიციატორი და ა. ჯ.-ის ინტერესების საწინააღმდეგო გარიგების შემთავაზებელი საჩივრის ავტორი, მ. ჯ იყო. საჩივრის ავტორმა ახსნა-განმარტებაში თავადვე დაადასტურა, რომ ადვოკატმა უარი განაცხადა მასთან კანონსაწინააღმდეგო გარიგებაში შესვლაზე. აღნიშნული მოცემულობით, ადვოკატის ქმედებებით პროფესიული ეთიკის ნორმები არ დარღვეულა.
- 5.8 საპროცესო კოლეგიამ ადვოკატ ზ. ნ-ს ქმედებებში ვერ აღმოაჩინა ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსის ნორმების შესაძლო დარღვევა და მიიჩნევს, რომ წარმოდგენილი საჩივარი არ იძლევა ადვოკატის მიმართ დისციპლინური დევნის აღმვრის საფუძველს, რაც „ადვოკატთა დისციპლინური პასუხისმგებლობისა და დისციპლინური წარმოების შესახებ“ დებულების 30-ე მუხლის მე-2 პუნქტის თანახმად ადვოკატის მიმართ დისციპლინური დევნის აღმვრაზე უარის თქმის საფუძველია.

### III სარეზოლუციო ნაწილი

საპროცესო კოლეგიამ იხელმძღვანელა „ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონის მე-5 მუხლის „ა“ ქვეპუნქტით, 32-ე და 33-ე მუხლებით; ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსის მე-2 მუხლის 1-ლი ნაწილით; „ადვოკატთა დისციპლინური პასუხისმგებლობისა და დისციპლინური წარმოების შესახებ“ დებულების მე-4 მუხლის მე-6 პუნქტით, მე-19 მუხლით, 27-ე მუხლით, 28-ე მუხლით, 30-ე მუხლის პირველი პუნქტით, 31-ე მუხლით, მე-40 მუხლის პირველი პუნქტით და გადაწყვიტა:

- დისციპლინურ საქმეზე №040/17 ადვოკატ ზ. ნ-ს მიმართ /სიითი №/ არ აღიძრას დისციპლინური დევნა.
- გადაწყვეტილების ასლი გაეგზავნოს მხარეებს.
- საპროცესო კოლეგიის გადაწყვეტილება არ საჩივრდება.

კოლეგიის თავმჯდომარე:

/ციცინო ცხვედიანი/

კოლეგიის წევრი:

/გოჩა სვანიძე/

კოლეგიის წევრი:

/თორნიკე ბაქრაძე/